№ 194
სეკდემბრის 12, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 194
სეკდემბრის 12, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

115

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

№ 741.

საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდგან)

გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (ნ)

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ. Фармацевтика.

საჭიროა რამდენიმე პატარა ბიჭი

გაზეთის „ივერიის“ გამყიდველად. მსურველთ უნდა მიჰმართონ ვექილს გ. ი. გძელიშვილს, მიხეილის ქუჩა, № 113, დილის 9 საათიდან, 10—საათამდე.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ნ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ძ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ნ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმსა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტებით 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისის საქალაქო სამოსწავლებლო

კომიტეტისაგან

ტფილისის საქალაქო სამოსწავლო კომიტეტი მოიწვევს იმათ, ვისაც მიუღია უმაღლესი სატეხნიკო (სამექანიკო) განათლება და ჰსურს იკისროს

მიხეილის სახელობაზედ არსებულის

ტფილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თანადებობა.

ჯამაგირი 2000 მან. წელიწადში და ბინა. ამას გარდა მიეცემა გაკვეთილები ტეხნოლოგიისა და ხაზვისა. სასურველია წარმოდგენა დაწვრილებულ ცნობათა მოღვაწეობის შესახებ.

ამასთანავე კომიტეტი იუწყება, რომ თხოვნა უნდა მირთმეულ იქმნას ტფილისის საქალაქო გამგეობაში სამოსწავლო კომიტეტის სახელობაზედ. (1—6.—1)

ტფილისი, 12 სეკდემბერს.

ამ ოცისა და ორმოცის წლის განმავლობაში ბევრი კულტურული ნაშთი შემოიკრიბა. წ.-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავი, საეკკლესიო მუზეუმი გამდიდრდა ფრიად შესანიშნავ ხელნაწერებით და სხვა-და-სხვა ძვირფას, არქეოლოგიურის მხრივ, ნივთით. შემოსაკრები კიდევ ბევრია: სხვა-და-სხვა საყდრებს, დიდგვარ თავადთა და აზნაურთ გვარეულობას და კერძო კაცებს მათი კუთვნილი ნაშთები ნახევრადაც არ მოუწვდიათ ჩვენთვის.

ახლა რავდენია კიდევ ამგვარი ძვირფასი წიგნი და ქართველთა ხელოვნებით შექმნილი ნივთი რუსეთს, ათონს, სინას, პალესტინას, მცირე აზიის სხვა-და-სხვა მივარდნილ მონასტრებში, ევროპის, თითქმის, ყველა სატახტო ქალაქებში! მარტო სინაზე დაშთენილ ქართულ წიგნების მოკლე აღწერას მოუნდა ორის პროფესორის შრომა სამის თვის განმავლობაში! ათონს, ვიცით, არის მრავალი ქართული წიგნი და მათი სრული კატალოგი ჯერ არავის შეუდგენია.

არა გვაქვს კატალოგები ევროპასა და რუსეთში შენახულ ყველა წიგნებისაც, თვით წ.-კ. საზოგადოებას აქამდის ვერ შეუდგენია თვისის ხელნაწერების არა თუ სრული და ვრცელი, არამედ მოკლე კატალოგიც.

ყოველის ერის ცხოველ-მყოფელობას, უმთავრესად, აფასებენ იმით, თუ რა გაუკეთებია, რა შეუქმნია, რა მოუმოქმედნია. ერი, რომელსაც უცხოვრია მრავალი საუკუნოები, ათას ორი-ათას წლობით უთელია ეს ქვეყანა და ვერ შეუქმნია ვერც ხუროთმოძღვრული ძეგლები, ვერც მოუგონია თვისი ეროვნული ანბანი, ვერც დაუწერია და დაუხატავს წიგნები და თვისი ძეგლები,—ამისთანა ერს მკვდრად სთვლიან: არც წარსული ჰქონიაო, არც აწმყო აქვსო და არც მომავალის ღირსიაო...

მადლობა ღმერთს! ჩვენს ნიჭიერ ერს არ აკლია არც ცათამდის აწვდილი ტაძარ-მონასტერნი, არც სხვა ჩინებული ძეგლები.

წარსული ნაყოფიერი და სახელოვანი გვქონია.

აწმყო გვაერთიანებს იმპირით ამ პირამდის, იმერ-ამერამდის.

მომავალიც გვიღიმის თითქო საუკეთესო მერმისით.

ოღონდ გვმართებს ღვაწლი, მამა-პაპასავით მიმდემი რუდუნება, ერთს ხელში წიგნის ჭერით მეორე ხელით დაუცადებლივ მუშაობა, ზრუნვა, სწრაფვა.

ჩვენი მამა-პაპა ხმალსაც კარგად იქნევდა, კალამსაც კარგად ხმარობდა და გუთანსაც კარგად უმარჯვებდა. ჩვენც მათი ღვიძლი შვილები არა ვართ? ჩვენც არ ძალ-გვიძს მათსავით ვიშრომოთ? შეგვიძლიან, მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, მათ არ ვბაძავთ, მათსავით არ ვზრუნავთ, არ ვიღვწით. არა თუ ახალს არას ვაკეთებთ, ჩვენის შეუნდობელის წინდაუხედაობით იმასაც ვკარგავთ, იმასაც ვანგრევთ და ვღუპავთ, რაც დაგვიტოვეს წინაპართა. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, განა ერთს დიდს, საუკუნო ძეგლს არ ავუგებდით ჩვენს ნაჭირნახულევს წინაპრებს, თუ ფული გამოგვეღო და შეგვედგინა ვრცელი კატალოგი ყველა ქართულ ხელნაწერებისა, ვრცელი აღწერა ყველა ხუროთ-მოძღვრულ ძველ შენობათა, გამოგვეცა დიდი ალბომი ქართულ მხატვრობისა, ჩუქურთმულ ნახელოვნებისა, შემოგვეკრიბა ყველა ქართული ხმები, ნოტებზე დაგვეწყო და დაგვებეჭდა ერთ დიდ წიგნად, ჩაგვეწერა ყველა ქართული გადმოცემა და თქმულებანი...

ყველა ეს ჩვენის უთაურობით, უვიცობით და გაუგებრობით იკარგება, ინგრევა, იმუსრება, ყველა ამას უპატრონოდ დაშთენილ და გაბნეულ ცხვრის ფარასავით იტაცებენ. ვისაც ჩვენთაგანს ესმის ყველა ამათი ფასი, წუწუნებს, სტირის, ჩივის, ჩვენს საუნჯეს იტაცებენ, იპარვენო... ვისი ბრალია?! უპატრონო საყდარს ეშმაკები ეპატრონებიანო, თქმულა.

ტფილისშიაც და ქუთაისშიაც, ჩვენი თავად-აზნაურები შეუდგნენ ფულის განაწილებას, არც ერთგან არ მოიხსენეს ჩვენის დიდების მომაგონებელი და ჩვენის ერის თავ-მოსაწონი ნაშთები, ძეგლები, თუ მათი განახლება არა, მათი ცნობაში მოყვანა, აღნუსხვა, აღწერა მაინც! ჩვენი ფულიანი კაცები, დიდგვარიან დიდებულები იბადებიან, სცხოვრობენ და კვდებიან ისე, რომ საქვეყნო საქმეს კი არა, თავიანთ, ხშირად უშველებელს ქონებას, დიდ-ძალ დაზოგვილობას, ღმერთმა უწყის, ვის და რად უტოვებენ!.. იფლანგება და იღუპება ფული იქ, საცა საშვილიშვილო და უქკნობელი ძეგლები ვერ აუგიათ ხელ-მოკლეობისა გამო... ვისაც ასხიან ყურნი სმენად, ისმინენ! და ვის ასხიან ყურნი, თუ არა ჩვენებურ ქალაქების გამგეობათ, ქიაიურის მოღვაწეთ, ჩვენს თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და, საზოგადოდ, მთლად ნასწავლ ქართველობას...

მარიღნო სოფლისანო, მოდით, მოგროვდით. სამკალი ფრიად არს და შრომა დიდი უნდება.

ტფილისი

✦ სიონის ტაძრის საკრებულოს განკარგულებით, ამ თვის 11-დგან ეკკლესია ღია იქნება მლოცველთათვის დილიდგან საღამომდე.

✦ პეტერბურგში მეტყევეთა მომავალ კრებაზედ კავკასიიდგან დაინიშნა დუშეთის მაზრის სახელმწიფო ტყეების მეთვალყურე ბ-ნი ზაკტრეგერი.

✦ ოფიციალურად მოთხოვნილია მთავრობისაგან, რომ განმარტებულ იქმნას რა უფლება აქვთ მინიჭებული საეპარქიო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ.

✦ გუშინ, 11 სეკდემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლო დარბაზში დააფიცეს ნაფიც ვექილად დამტკიცებული ნაფიც ვექილის თანაშემწე გ. ი. გძელიშვილი. გ. ი. გძელიშვილი ჩაეწერა ტფილისში ნაფიც ვექილის თანაშემწეთ 1897 წელსა და მას შემდეგ იყო ცნობილ ნაფიც ვექილის, ლ. ი. შევალიეს თანაშემწედ.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის მოურავის მოადგილემ შესტაკოვმა მიჰმართა გუბერნატორს და სთხოვა ნება მიეცა იმისთვის წაეკითხნა საბჭოს სხდომაზე გუბერნატორის მიერ ქალაქის მოურავთან მიწერილი საიდუმლო ქაღალდები, რომელიც შეეხება სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტის კომისიად გადაკეთების საქმეს. გუშინ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ ვერ დავთანხმდები აცნობოთ საბჭოს აღნიშნულ ქაღალდების შინაარსი, რადგანაც ეს ქაღალდები შეიცავენ საიდუმლო მიწერ-მოწერას სხვა დაწესებულებასთანაო. გუბერნატორი ამასთანავე ატყობინებს შესტაკოვს, რომ საბჭომ ჩემი წინადადება კომიტეტის მოსპობის შესახებ უნდა განიხილოს სრულიად დამოუკიდებლადაო.

✦ ქალაქის გამგეობის განკარგულებით, სხვა-და-სხვა საჭირო შენობის გასაკეთებლად დაუქმებულ იქმნა დროებით ნემცების წყლის არხი.

✦ ოლგას საბებიო ინსტიტუტში ერთის ავადმყოფისათვის უფასო საწოლის შესანახად, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ, გამგეობამ წარსულ წელთა მაგალითისამებრ უნდა შეიტანოს 220 მან.

✦ ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ, ბ-ნმა რაზამტმა, მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა მიეცეს ამ საზოგადოებას სკოლის შესანახად წარსულ წლების მაგალითისამებრ 300 მან.

✦ ამ ჟამად გამგეობის ყველა განყოფილებიდგან ქალაქის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ბებუთოვს ეგზავნება ანგარიში, თუ 1901 წლის განმავლობაში რა კუთვნილება გაიყიდა ქალაქისა და რამდენს შეადგენს ამ საგნების გაყიდვით აღებული ფული.

✦ მარიამის საირიგაციო არხის ამხანაგობის წარმომადგენელმა ყარაიაზში, ქალაქის ხორცის დუქნების მომწყობ კომისსიას მიართვა ქაღალდი და აცნობებს, რომ გავიგე-რა ქალაქის საყასბო დუქნების საქონლის საძოვრად ადგილი სჭირდებაო, ამხანაგობას შეუძლიან ყარაიაზში გასცეს იჯარით 1,500 დესეტინიდგან 3,000 დეს. 1 სეკდემბრიდგან 15 მარტამდე; ხოლო გარდასახადი თითო დესეტინაზედ იქნება 4 მანეთიო; თუ კომისსიას დასჭირდება საქონლისთვის ბოსელი, ამის აგებასაც იკისრებს ამხანაგობა; მხოლოდ ამისათვის თითო დესეტინაზედ უნდა მოემატოს 1 მანეთი საბაღახეო. ამ შემთხვევაში კომისიამ უნდა აიღოს იჯარით 1,500 დეს. და შეინახოს არა ნაკლებ 700 სულ საკლავ საქონლისა. თუ კომისია მოისურვებს 15 მარტს იქითაც საძოვრის აღებას, ფასი მოემატება თითო დესეტინაზედ თითო მანეთიო; ამხანა-

გობა აძლევს აგრეთვე იმდენს თივას, რამდენსაც მოითხოვს კომისია, ფუთს 12—14 კაპეიკადაო.

✦ დღეს, პირველ საათზედ, ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით დანიშნულია კრება ქალაქის თავ-შესაფართა კომიტეტის წევრებისა.

✦ ქალაქის საამშენებლო განყოფილებამ სთხოვა მეოთხე განყოფილებას, ნუ აგვიანებ ცნობათა მოწოდებას, როდესაც ამას მოითხოვს საქმეო. არა ერთხელ ყოფილა მაგალითი, რომ საქმის ცნობას დაუგვიანია თითქმის ორი-სამი კვირა და ამ უწესოებით-კი საქმეების წარმოება ფერხდებაო. მთხოვნელებს არა ერთხელ აუტეხნიათ აყალ-მაყალი და კანონიერიც არის ამ შემთხვევაში მათი უკმაყოფილებაო; საამშენებლო განყოფილებამ მეოთხე განყოფილებას დაუდო სამი დღის ვადა, საქმის შესახებ ცნობათა მოწოდებისათვის.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივნად დაინიშნა ბ-ნი ფირცხალავა, რომელიც უკვე შეუდგა თავის ახალ თანამდებობის აღსრულებას.

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენს ახალგაზდა მწერალ ქალს აზიანს ქართულის თეატრისთვის ამ წელსაც დაუწერია ახალი პიესა, რომელსაც მომავალ სეზონში წარმოადგენენ.

✦ წარსულ შაბათს დაასრულეს სახელმწიფო ტყეების მეთვალყურეთა კრება. მეთვალყურენი მოწვეულნი იყვნენ სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად. ამათში საყურადღებო უფრო-კი შემდეგია: 1) როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო ტყეებში საძოვარ ადგილების საქმე, ე. ი. როგორ უნდა გაწესრიგდეს საქონლის ძოვებაზედ გადასახადი; 2) როგორ მოეწყოს უკეთესად უფასოდ ხე-ტყისდათმობა მცხოვრებთათვის და შესაძლებელი არის, რომ ათი პროცენტი მაინც გარდახდეთ ხე-ტყის ღირებულისა? საყურადღებო იყო აგრეთვე მეტყევეთა წინადადება, რომ სახელმწიფო ადგილებში, თუ შესაძლებლათ სცნობს მთავრობა, გაშენდეს ხეხილის სანერგეები, საიდგანაც შეიძლებოდეს სხვა-და-სხვა ხეხილის გავრცელება მცხოვრებთა შორის და აგრეთვე მიეცეთ მცხოვრებლებს ფართო უფლება ამ სანერგეებიდგან ხეხილის წაღებისაო.

✦ ვის არ უნახავს მაწანწალა დედაკაცები ქალაქის ქუჩებზედ! ერთი დუქნიდგან მეორე დუქანში დაეხეტებიან, ხან ერთ ლუდხანიდგან გამოისტუმრებენ საშინელის ყიჟინით, ხან მეორედგან! ეს ღვთის გლახაც გამოვა, დადგება შუა ქუჩაში და დაიწყებს უშვერის პირით ლანძღვა-გინებას; შემოეხვევიან მოზარდი ყმაწვილებიც და გალექებულის გინებას ყურს უგდებენ. დარწმუნებული ვართ—და შემოუჩივლიათ კიდეც,—რომ ბევრი გამვლელ-გამომვლელი მოსწავლე ქალიშვილი გაუწითლებია ამ უშვერ სიტყვებისა; მივაქცევთ ამ გარემოებაზედ მათს ყურადღებას, ვისიც ჯერ არს და ვარწმუნებთ, რომ დიდს მადლს იზამენ, თუ შეიბრალებენ იმ მოზარდ თაობას და მოაშორებენ ამ გარყვნილ დიაცების ნახვას.

✦ ორს ამ თვეს გამგეობამ ხელწერილი ჩამოართვა სამსახურ გარეშე მყოფს კაპიტანს ზაქარია დავითის ძეს მამულოვს, რომელმაც იკისრა ქალაქის დაწესებულებათათვის შეშა მიეყიდნა 1902 წლის 1 სეკდემბრიდგან 1903 წლის 1 სეკდემბრამდე; ამ ხელ-შეკრულობის ძალით ბ-ნი მამულოვა საჟენს რცხილის შეშას უთმობს 34 მან. 75 კაპ. და ნარჩევს შეშას-კი 22 მ. 75 კ. გამგეობასა ჰგონია, მამულოვმა დიდი სამსახური გაგვიწია და ძალიანაც დაგვავალაო, რომ 34 მან. და 75 კაპ. დაგვითმოვო; რცხილის შეშა 32 მანეთადაც იყიდება საჟენი; ხოლო როცა ერთის საჟენის მაგივრათ, ორასი და სამასი უნდა წაიღო და ისიც 34 მან. 75 კაპ. გეთმობა საჟენი, ეს-კი სწორედ ძვირია.

ამ საგანზედ საჯარო ვაჭრობა იყო გამოცხადებული და გვიკვირს ესე რათ მოხდა.

✦ არა ეშველა-რა ჩვენს ქუჩებს. დაპირებას დასასრული არა აქვს, მაგრამ, ვინ იცის, როდის გვექნება ახალ სისტემით დაფენილი ქუჩები; ეს ასე მალე არც შესაძლებელია, ამას ხომ ბევრი ფული სჭირია და ქალაქის კასსა-კი უკაცრავად არის გროშებზედ.

ვსთქვათ, ქუჩების საქმე ასეა, ეს სახლის წინ ქვაფენილებიც ხომ ქალაქის ხარჯზედ არ კეთდება და ნეტა რა მიზეზია, რომ ეს ქვაფენილები ზოგან სულ არ არის და ზოგან ისეთს მდგომარეობაშია, რომ თუ კისერს არა, ფეხს მაინც მოიტეხთ. ამისთანა მდგომარეობაშია სწორედ ავჭალის ქუჩაზედ სახლების წინ ქვაფენილები; ამაზედ ჩვენც და სხვა გაზეთებსაც ბევრი უწერიათ, მაგრამ ვინ არის გამგონი?! იქნება სახლის პატრონების ჯიბეს უფრთხილდებიან ქალაქის თავში მდგომნი?

ძლივს გვეღირსა და ამ ბოლოს დროს ავჭალის ქუჩას, თუ ყოველ დღე არა, 3—4 დღეში ერთხელ მაინცა რწყავენ, ისიც როცა აგვიგრილდა. სად იყო ამისთანა ბედნიერი განკარგულება ზაფხულის სიცხეებში,—რომ სული გვეხუთებოდა მტვრითა.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ № 191-ში, კვირის ფელეტონში შეცდომით არის დაბეჭდილი ნაწყვეტი ლექსისა: „ჩვენ უნდა ვსძლევდეთ ეხლა!... და სხვანი (5-ე სვეტზე); მერვე სვეტზე დაბეჭდილია: „ძმობაც დავალესთოო“, უნდა იყოს: „მეგობრობაც დავალესთოო“.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. სათავად-აზნაურო საქმეები—უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან. მოხმარების საკითხი. 4 ენკ. კრებაც გუბერნიის მარშალის, რომელიც თავად-აზნაურთა კრებების ხელმძღვანელობაში ისე რიგათ დახელოვნდა, რომ მეტად ობიექტიურად უჭირავს თავი მებრძოლ დასთა შორის, თავმჯდომარეობით გაიხსნა თეატრის დარბაზში. ამ დღესაც სკოლის გახსნის მომხრეების სიტყვით დაიწყო კრება.

ს. ხუნდაძე. გუშინდელს კრებაზე ცხადად გამოირკვა 20,000 მან. მოხმარების საკითხი. უკვე ნალაპარაკევიდგან ცხადად სჩანს, რომ ერთს მხარეს სურს სტიპენდიების დაარსება, მეორეს—სკოლის გახსნა. გუშინდელმა ორატორებმა საკმაოდ გამოარკვიეს ეს კითხვა. ახლა შეიძლება პირდაპირ დავაყენოთ საკითხები და კენჭი ვუყაროთ ორთავეს. თუ კრება ამ ფულს სტიპენდიებად დანიშნავს, მაშინ ჩვენ მივიღებთ კომისიის პროექტს ზოგიერთი შესწორებით და თუ სკოლის გახსნას არჩევენ, მაშინ ამოვირჩევთ ახალ კომისიას, რომელიც მომავალ მორიგ კრებას წარმოუდგენს დასაბუთებულ მოხსენებას სხვა-და-სხვა სკოლების ტიპებისას.

ივანე ჯაფარიძე (ახლად კურს დამთავრებული ბუნების მეტყველი). ჩვენ დღეს პრინციპიალური საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, რას მოვახმაროთ ეს ფული, სტიპენდიას, თუ სკოლის გახსნას? რა თქმა უნდა, ამის გადასაწყვეტად ჩვენ დაწვრილებით უნდა გავირკვიოთ ის საჭიროებანი, რასაც სცდის დღეს დღეობით ერთის მხრივ მოსწავლე ახალგაზდობა და მეორეს მხრივ მშობლები, რომლებსაც ჰსურთ თავიანთი შვილები სასწავლებელში შეიყვანონ. როგორცა სჩანს კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტებიდგან, სტიპენდიების უმეტესი ნაწილი სტუდენტებს ენიშნება სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტები იმდენად მომზადებულნი არიან, რომ თუ ისინი მოინდომებენ, არ იუკადრისებენ და უარს არ იტყვიან შრომაზე აქვთ საშუალება თავის პირადი შრომით იშოვონ 20—25 მან., თუ-კი ამას დღეში 2—3 საათს შესწირავენ. მეორედ, თუ სტუდენტი კარგად სწავლობს, უნივერსიტეტის მთავრობა ათავისუფლებს მას სასწავლო გადასახადისაგან და აძლევს წლის განმავლობაში 50—60 მან. და ზოგსაც სტიპენდიებს უნიშნავს. მესამედ, თითოეულ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება, რომელიც ეხმარება მათ: აძლევენ ერთხნობით შემწეობას, უხსნიან იაფ-ფასიან სასადილოებს და საცხოვრებელ ბინებს. მეოთხედ, ღარიბ სტუდენტებს ხშირად ეხმარება ადგილობრივი საზოგადოება კერძო შეწირულებებით. მეხუთედ, თითონ სტუდენტებიც ეხმარებიან ღარიბ ამხანაგებს. მეექვსედ, დღეს ჩვენ შიაც დაარსდა კავკასიელ სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება, საიდანაც ქართველებსაც ერგებათ წილი. ამ ნაირად ღარიბ სტუდენტს ყოველთვის აქვს შესაძლისობა, თუნდაც ძნელ პირობებში იყოს, მიაღწიოს თავისს მიზანს, დაასრულოს უნივერსიტეტი. ახლა განვიხილოთ, რაგვარს მდგომარეობაშია ჩვენებური ღარიბი თავადი, თუ აზნაურშვილი. საშუალოდ მისი შემოსავალი უნდა ვიანგარიშოთ 400—500 მან. (ტყუილია, ბატონო, ტყუილი, უმეტესობას 100—200 მ. არ შემოუვა წელიწადშიო, მაშინვე მიაყვირეს ორატორს აქედ-იქიდგან). მისი ოჯახი შესდგება დაახლოვებით ხუთის სულისაგან, ასე რომ თითოზე სარჩენად მოდის 100 მან. წელიწადში. როგორ აკმაყოფილებს იგი ამ თავისს მოთხოვნილებას,—ეს ყველა თქვენგანს კარგად მოეხსენება. მანვე უნდა აღზარდოს ერთი შვილი მაინც, რომლის მომზადება, როგორც მოგახსენესთ, 1,000 მან. უჯდება. მითხარით, რომელი წყაროდგან უნდა იშოვნოს ეს ფული?! რასაკვირველია, ერთადერთი წყარო ამისა არის ის ერთი კვალი მიწა, რომელიც მას არჩენს. აი ამ ერთად-ერთს შემოსავალს ოჯახისას უნდა ჩამოსჭრას მან და უნდა გაყიდოს იგი იმ იმედით, რომ შვილს სკოლაში შეიყვანს, გამოზდის და შექმნის მას ოჯახის ბურჯად. მაგრამ იგი უვაკანსიობის გამო ამ იმედსაც ჰკარგავს და შვილი ეღუპება. ამნაირ მდგომარეობაში მყოფ თავად-აზნაურობისათვის, ნუ-თუ მეტყვით, რომ სასწავლებლის გახსნა უმთავრეს საჭიროებას არ შეადგენს, დაამთავრა თვისი სიტყვა საზოგადოებაში პირველათ მოლაპარაკე ახალგაზდამ?!.

იასონ ბაქრაძე (ახალგაზდა ვექილი). მოსალოდნელი და სასურველი იყო, თქვა ორატორმა, რომ კომისიას წარმოედგინა რამდენიმე დასაბუთებული მოსაზრება და ან, თუ ეს მისთვის აპრილის კრებას არ დაუვალებია, წარმოედგინა ის მოტივები მაინც, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა, როცა დანარჩენი მის მიერ განხილული პროექტები უარჰყო და უპირატესობა წარმოდგენილს მისცა, მით უფრო, რომ იგი არ არის სრული და დაწვრილებით შემუშავებული. საკითხის ასე ზერელე გადაწყვეტით კომისიამ გაუძნელა პატივცემულ კრებას საკამათო საგნის გათვალისწინება და გადაწყვეტა. საშუალო სასწავლებლებში სტიპენდიების დანიშვნა იმ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ ვიმყოფებით, უსამართლობად მიმაჩნია. არსებულ სასწავლებლების კარებს ყოველ წლივ ადგება 500—600 ბავშვი და ნატრიაბს შესვლას. ვისაც მიიღებენ, ის თავს ბედნიერად სთვლის, იგი დამდგარია განათლების გარკვეულ გზაზე და, ასეა თუ ისე, შევიწროება-გაჭირვებით იგი თვისს მიზანს მიაღწევს. მაგრამ გაცილებით მეტი რჩება სასწავლებლებს გარეშე და უბედურნი ტირილ-ჟივილით და ვაი-ვაგლახით შინ ბრუნდებიან. ჩვენ გაჭირვებულ თავად-აზნაურთა ბავშვების აღსაზრდელად დანიშნული ფული გვინდა მივსცეთ ისეთებს, რომელნიც მითაც ბედნიერნი არიან, რომ სასწავლებელში შერგეს თავი და ამავე დროს ყურადღებას არ ვაქცევთ, რომ დახმარება იმ უბედურთ უფრო სჭირდებათ, რომელთაც, იქნებ, საუკუნოდ დაეხურათ სასწავლებლის კარები. ეს არის უსამართლობა, რადგან დახმარება ყოველთვის გაჭირვებულს უნდა და დღეს გაჭირვებულნი არიან სასწავლებელს გარეშე დარჩენილნი.

რაც შეეხება სტიპენდიების დანიშვნას უმაღლეს სასწავლებლებში, კარგი იქნებოდა ამის შესახებ მოესმინა კრებას სტუდენტების აზრი. ისინი ბევრს რასმე საგულისხმოს გვეტყოდნენ, მაგრამ, რადგან, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია: მათ ლაპარაკის ნება არა აქვთ აქ, ამიტომ ჩვენ დაგვრჩენია მოუსმინოთ იმათ, ვისაც დიდი ხანი არ არის დაუტოვებია უნივერსიტეტის კედლები. **მე იშვიათად მინახავს სტუდენტი, რომელსაც ყოველთვის ჰქონდეს სადილი, პური და შაქარი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს მოსდის სახლიდგან ფული გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენ მათ ვპირდებით. ეს მოვლენა არის შედეგი ერთგვარი პირობისა, სტუდენტური ცხოვრების გეგმისა.** ასე რომ ამ სტიპენდიებით მათ სულ უზრუნველ ვერ ვყოფთ. ამით მე სრულიადაც იმის თქმა არ მინდა, რომ საჭირო არ იყოს სტუდენტების დახმარება. არა, საჭიროა, მაგრამ ეს სხვა გზით და ამ ფულს-კი მივსცეთ უფრო სასარგებლო მნიშვნელოვანი მიმართულება. ამ ფულით ჩვენ ერთ შემთხვევაში რამდენიმე ვუადვილებთ უნივერსიტეტის გათავებას 7—8 ახალგაზდას (40 სტიპენდიანტში ყოველ წლივ გაათავებს 7—8-ა) და ესენი-კი უამისოთაც გაათავებდნენ. მეორე შემთხვევაში ჩვენ ყოველ წლივ გზას ვუხსნით განათლებისაკენ 40 ყმაწვილს და ვამზადებთ მათ სტუდენტებად, რომლებზედაც ყველა ასე ზრუნავართ. ახლა გკითხავთ! რომელი უფრო სასარგებლო და სამართლიანია?

სკოლის დაარსებით ჩვენ ყოველ 8—10 წლის განმავლობაში საზოგადოებაში შეგვყავს 500—600 ახალგაზდა განათლებული კაცი, მაშინ, როდესაც სტიპენდიების დანიშვნით, როგორც გუშინ სხვებმაც შენიშნეს, ვერც ერთ მოსწავლეს, ვერც ერთ სტუდენტს, ვერც ერთ სწავლულს ვერ ვუმატებთ იმ რიცხვს, რომელნიც ამ სტიპენდიების დაუნიშნავადაც იქნებოდნენ.—თუ ყმაწვილი სწავლის გზაზე დაყენებულია, ის მიდის წინ (იქნება გაჭირებულათაც) და თუ ნიჭი აქვს, იმის დაფარვა არ იქნება, თავს გამოიჩენს უსათუოდ; რაც უნდა იყოს მისს ნიჭს სიღარიბე ვერ შეაფერხებს. მაგრამ რას იტყვით, ბატონებო, იმ 400—500 ყმაწვილზე, რომელნიც სასწავლებელს გარეშე რჩებიან და რომელთა უმრავლესობა უსწავლელი დარჩება? იმათ შემთხვევა არ ეძლევათ თვისი ნიჭის გამოჩენისა, ისინი ვერ შევიდნენ სასწავლებელში. ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი კაცი და იქნება გენიოსიც-კი აკლდება სამშობლოს ამ სამწუხარო მოვლენის გამო? ახალი დროის იარაღი თავისა და სამშობლოს დასაცველად არის ცოდნა, განათლება და თუ გვინდა არსებობა, ის იარაღი უნდა მივაწოდოთ შეძლებისამებრ ყველას თანასწორად; ვისაც აქვს ნიჭი, იგი მიიღებს ამ იარაღს და კიდეც გამოიყენებს მას სასარგებლოდ თავისა და ქვეყნისა; ვინც უნიჭოა, იმას ეს იარაღი დარჩება მოუხმარებლად. ამ გვარად რამდენსაც მეტს მივცემთ უმრავლესობას შემთხვევას ნიჭის გამოჩენისას, იმდენად მეტი ნიჭიერი და სასარგებლო მოღვაწენი გვეყოლებიან. აი, ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობ, რომ მე სასწავლებლის დაარსებას ვემხრობ და ვურჩევ თავად-აზნაურობას ეს ფული ამ დღევანდელ საჭირო საქმეს მოახმაროს, თუ უნდა, რომ იგი მომავალმა თაობამ სასახელოდ მოიხსენიოს.

გ. ბაქრაძე (შავი ქვის მწარმოებელი). Студенты не хотятъ стипендій,—это очень знамѣнательно.

— აბა, რაღას გვაწუხებენ მუდამ თხოვნებითაო, გაისმა ერთის ქალარა კაცის ხმა.

ისო.

უცხოეთი

ინგლისი. ირლანდიის ნაციონალისტთა გაზეთის „Irish People“-ის რედაქტორი, გამომცემელი და ტიპოგრაფი დაიბარეს გასულს ორშაბათს დუბლინის ერთ-ერთ საპოლიციო სასამართლოში; მათ პასუხი უნდა ეგოთ იმ მუქარის გამო, რომლითაც ყოფილ ირლანდიელთა ფერმების ეხლანდელ მოიჯარადრეთ მიჰმართეს.

საქმის გარჩევას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო; დაბარებულნი იყვნენ პარლამენტის წევრნიც ვილიამი და პატრიკ ო' ბრაინი, ჯემს ო'კონნორი, ნაინეტი, დევიტი და სხ. უწყებებში გაკვრით იყო მოხსენებული, რომ ზემოხსენებულნი პირნი პასუხის გებაში არიან მიცემულნი იმ წერილებისათვის, რომელნიც მათს გაზეთში იყო დასტამბული ივლისის 1-დგან სეკდემბრის 8-დღო. ვექილმა მოითხოვა, რომ ბრალდება უფრო გარკვევით აღენიშნა სასამართლოსა და ამასთანავე მეტი დრო მიეცა მოპასუხეთათვის მოსამზადებლად. „ბრალდებულნი—განაცხადა ვექილმა—ამ ჟამად მოკლებულნი არიან იმ უფლებასაც კი, რომელიც მინიჭებული აქვს სამთავე სამეფოს მოქალაქეთ, უფლებას ნაფიც მსაჯულთა წინაშე პასუხის გებისას. ქალ. დუბლინი განზრახ დაუქვემდებარეს განსაკუთრებულს კანონს, რომ ამით მოპასუხეთათვის წაერთმიათ ეს უფლებაც. ვიმედოვნებ, რომ ბრალდებულთა იმ ელემენტარულ უფლებას მაინც აღარ წაართმევენ, რომლის ძალითაც ყოველს დამნაშავესა აქვს ნება იცოდეს, თუ რა დანაშაულისათვის ასამართლებენ მასაო“. ბრალმდებელმა შეისმინა ვექილის აზრი, გადასდო საქმის გარჩევა მომავალ ორშაბათამდე და დაჰპირდა მას საქმის დაწვრილებით გაცნობას.

— როგორც „Standard“-ი იუწყება, უკანასკნელ მოლაპარაკების დროს ჩემბერლენს აღუთქვამს ბოტასათვის, ყოველის ღონისძიებით ვეცდები, რაც შეიძლება, მეტი თანხა იქმნას გადადებული ბურების ქვრივ-ობოლთა და ხეიბართა დასახმარებლად, მაგრამაო—დასძინა თურმე მინისტრმა—ჩემი მაცადინობა დამოკიდებული იქნება სავსებით ბურგერების მორჩილებასა და ერთგულებაზედაო.

საფრანგეთი. გაზეთები იუწყებიან, საფრანგეთის იეზუიტები, რომელთაც აეკრძალათ მასწავლებლობა, მისიონერებად წავიდნენ მადაგასკარს, ჩინეთს, ალიასკასა და კანადასაო.

გერმანია. პრუსიის საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად დიდი ბჭობა-თათბირია გამართული პოზნანის პროვინციის „განმანათლებელ“ გაგერმანელების განზრახულ დაწესებულებათა შესახებ.

აკადემიის, ან უნივერსიტეტის დაარსების აზრი იმპერატორმა უარ-ჰყო, რადგან პოზნანის ამბებმა სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა მაზედ. ეხლა აზრადა აქვთ მხოლოდ დროებითი უმაღლესი კურსები დააარსონ პოზნანში.

პოლონელთა ოლქებში პრუსიის მოხელეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად განზრახულია კიდევ 12.000,000 მარკის გადადება. რადგან მცირე ქალაქები ამ ოლქებში ჯერ-ჯერობით სულ პოლონელთა ხელშია, მთავრობა მოწადინებულია მათში როგორმე გაამრავლოს გერმანელ სახლის მეპატრონეთა რიცხვი. ყოველ გერმანელ მოხელეს, რომელიც სახლის აშენების სურვილს განაცხადებს, ჯილდოთ მიეცემა ერთ ხანად 3,000 მარკა და გარდა ამისა მცირე სარგებლიანი სესხი. ჰგონებენ, რომ ამ საარაკო შეღავათით ისარგებლებს ყველა გერმანელი მოხელე (გერმანიაში პოლიციელს, კონდუქტორსა და ფოსტალიონსაც ხომ მოხელე ჰქვიან); ამ ნაირად პოლონელთა გავლენას მალე მოეღება ბოლო. დიდსა და საშუალო ქალაქებში გერმანელებს მხოლოდ ჯილდო მიეცემათო (3,000 მან.).

ბულგარია. სოფიაში ყრილობა მოხდა მაკედონიის კომიტეტის წევრთა გენერალ ჩონცევისა და პოლკოვნიკ ნიკოლოვის დაპატიმრების გამო პროტესტის გამოსაცხადებლად. ყრილობას რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო და დაადგინა, რომ საზოგადოება მეტად უკმაყოფილოა მთავრობის სასტიკი ზომებით მაკედონიის მოძრაობის წინააღმდეგ, რადგან ეს უფრო სახელმწიფოთა ზედგავლენით ხდება და იმას-კი ივიწყებს, რომ მათ ბულგარიისათვის დიდათ არაფრათ შესტკივათ გული. დასასრულ კრებამ ის აზრი გამოსთქვა რომ ეთხოვოს მთავრობას დაპატიმრებული ჩონცოვი და ნიკოლოვი გაანთავისუფლოს და ხელი აიღებინოს მთავრობას „ბულგართა ერის იდეალთა გამანადგურებელ პოლიტიკაზედაო».

რუმინია. გუშინდელს ნომერში ჩვენ მოვიყვანეთ დეპეშა, რომლითაც შეერთებულ შტატების მთავრობამ მიჰმართა თავის ელჩებს იმ სახელმწიფოებში, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზედ უწერიათ ხელი, რუმინელ ებრაელთა მდგომარეობის შესახებ. გაზეთ „Times“-ში მოჰყავთ სია იმ კანონებისა, რომელნიც ებრაელთა წინააღმდეგაა მიმართული რუმინიაში.

1864 წ. კანონით ებრაელებს ნება არა აქვთ ვექილთა წრეში შესვლისა. 1866 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლი ებრაელებს უცხოელებად აცხადებს. 1873 წ. 28 მარტის კანონი ებრაელებს მაგარ სასმელების ვაჭრობას უკრძალავს. 1881 წლის 6 აპრილის კანონი ნებას აძლევს პოლიციას გასჩხრიკოს და გააძეოს ებრაელი (მეტად ხშირად მიჰმართავს ხოლმე ამ კანონს რუმინიის პოლიცია). 1881 წ. 4 ივლისის კანონი მხოლოდ რუმინელებს ანიჭებს მაკლერობისა და ვაჭარ კამისიონერის უფლებას (ებრაელები გამორიცხულია). 1884 წ. 17 მარტის კანონით ებრაელებს აღკრძალული აქვთ მოსიარულე მეწვრილმანეობა. 1884 წ. 8 ივლისის კანონი ებრაელებს უკრძალავს მომრიგებელ სასამართლოებში საქმის დაცვას. 1886 წ. 1 მარტის კანონი მხოლოდ გარუმინიელებულ ებრაელებს აძლევს სავაჭრო პალატათა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. 1887 წ. 16 თებერვალს გამოსული მინისტრის ცირკულიარი უკრძალავს ებრაელებს კომუნალურ გადასახადთა მოკრეფას. 1887 წ. 28 თებერვლის კანონი ამტკიცებს მინისტრის წინანდელს ცირკულიარებს და იმეორებს, რომ არამც და არამც არ მიეცეს ებრაელებს ნება თამბაქოს ვაჭრობისა, საზოგადო სამსახურისა და საზოგადო მუშაობისა; ამასთანავე იმუქრება, რომ სასტიკად დაისჯება ის რუმინელი, რომელიც გაჰბედავს და მოსიარულე მეწვრილმანეობას აკისრებს მოსამსახურე ებრაელსაო. 1888 წ. 10 მაისის კანონი უკრძალავს ებრაელებს საქციონერო ამხანაგობათა დირექტორობას. 1887 წ. 12 მაისის კანონით ქარხნებში მომუშავე ებრაელთა რიცხვი დანარჩენ მომუშავეთა ერთს მესამედს არ უნდა აღემატებოდეს. 1889 წ. 6 თებერვლის კანონით აღკრძალულია რკინის გზებზედ მუშაობის დროს ებრაელთათვის რიგიან ადგილების მიცემა. 1893 წ. 14 იანვრის კანონი ებრაელებს უკრძალავს სასანიტარო და სამკურნალო უწყებაში სამსახურს. 1894 წ. კანონით ნება არა აქვთ მემამულეთა მოურავ-ებრაელებს მომრიგებელ სასამართლოებში საქმის დაცვისა. 1896 წ. 6 ივნისის კანონით უსასყიდლოდ უნდა ასწავლონ რუმინელ ბავშვებს სკოლებში, ებრაელმა ბავშვებმა-კი სწავლის ფული უნდა იხადონ და სკოლაშიაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ღებულობენ, თუ თავისუფალი ადგილი აღმოჩნდა. 1898 წლის კანონით ებრაელებს საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნება არა აქვთ. 1899 წ. კანონმა ებრაელებს აღუკრძალა სამეურნეო და სახელოსნო სკოლებში შესვლა. 1901 წ. კანონით ებრაელებს ნება არა აქვთ სოფლებში სამიკიტნოებისა, ლუდხანებისა, ყავახანებისა და სხ. გახსნისა. დასასრულ 1902 წ. მარტში გამოსული კანონი ხელოსნობასაც-კი უკრძალავს ებრაელებს. საქმე იმაშია, რომ ყოველის კუთხით შევიწროვებული ებრაელები იძულებულნი იყვნენ უმეტეს ნაწილად ხელოსნობისათვის მიეყოთ ხელი და მით ერჩინათ თავი, მაგრამ ეს ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისაც-კი მოუსპეს საბრალოებს.

სხვა-და-სხვა წერილები

სამი გმირი

(ბბ. ხდანოვიჩი, კიტა აბაშიძე და რგანელი) *)

IV

ბბ. რგანელი და აბაშიძე ბრძანებენ, რომ 19 ჯგუფიდგან ხუთსაც არ უნდათ კერძო საწყობზედ ზიდვაო, ამხანაგობამ მიიღო 2 მილიონამდე ქვა, ქვის ფასი ასწია 8 და 9 კაპეიკამდე და დაურიგა მრეწველთ 350,000 მანეთიო; როდის იყო ქვის გაყიდვის მშვენიერი მომენტებიო. დღეს ქვა იყიდება $8,_{75}$ და 9 პენათო. სოიუზმა კიდევ შარშან გაყიდა ქვაო, თუ უსაზღვრო კრედიტი გაუხსნეს, რათ შესწყვიტა მუშაობაო და სხ. ყოვე-

---

*) იხილე „ივერია“ № 193.

ლივე ეს თავიდგან ბოლომდე შემცდარი და დაუსაბუთებელი აზრია. იმ 19 ჯგუფში ვგონებ 2 და 3-იც არ იქნება, რომ ცალკე თავიანთ ბაქანზედ ქვის ზიდვა არ უნდოდეთ, აბა ვკითხოთ ყველა მრეწველთა თუ ასე არაა! როგორც ცნობილია, ყველა მრეწველი ერთგვარ ქვას ვერ ამზადებს; მასთან სხვა-და-სხვა ალაგს მდებარე მადნებიც სხვა-და-სხვა ღირსების ქვას იძლევა. აი ეს ღირსების სხვა-და-სხვაობა ბადებს საზოგადო ბაქნებზედ ქვის დაწუნებას, ფასების სხვა-და-სხვაობას, ნათელ-მირონობას და დიდს უკმაყოფილებას. მაგრამ ყველაზედ ცუდი ისაა, რომ ქვის დაწუნების და ფასის დაკლების გამო საზოგადოების წევრთა თითქმის ნახევრობა, 70—80 კაცი, იძულებულნი შეიქმნენ, რომ მიმშილით არ მომკვდარიყვნენ და ხარჯები აღედგინათ, გარეშეთ ეზიდათ ქვა, რადგან სხვაგან იმ ქვაში უკეთესს ფასებს აძლევდნენ და არც იწუნებდნენ. ყველა ეს პირები-კი სასტიკად დააჯარიმა გამგეობის წარმომადგენელმა ბ-ნმა ზდანოვიჩმა და კომიტეტმა, და ამ მოქმედებამ გამოიწვია კიდევ მეტი უსიამოვნება. სატირალი ხალხია ეს სათავეში მდგომი „მოღვაწენი“! თითონ შექმნეს ლამრეცი გზა, თითონ მიიყვანეს ხალხი იმ ზომამდე, რომ ქვა სხვას უზიდონ და ამ მრეწველთ-კი აჯარიმებენ. ამ 19 ჯგუფში არის ორი, რომელნიც თავიანთ ბაქნებზედ ზიდვენ ქვას და კარგ ქვასაც (მათ მისცეს ნება); მიუხედავად იმისა, რომ ერთი ჯგუფის წევრნი შედარებით მცირე ფასს იღებენ, არც ერთს არ უღალატნია და ყველას მოაქვს ქვა. აი რას ნიშნავს თავის ბაქანი და ის შეგნება, რომ ეს ქვა, რაც ჩამომაქვს საკუთრათ ჩემია და მის სიავე-სიკარგეში მევე ვაგებ პასუხსო. ჩვენ ხალხს ჯერ არ აქვს კარგად შეგნებული საერთო მოქმედება და საზოგადო ბაქნების მნიშვნელობა და ამიტომ შედეგიც ასე ცუდია. ამგვარმა პოლიტიკამ სხვათა შორის ძირი გამოუთხარა კავკასიის მრეწველთა პირველ ამხანაგობას და ვშიშობ, რომ „შავი-ქვის საზოგადოებასაც“ არ დამართოს ეგევე ზიანი.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ე. ი. ორ მილიონამდე ქვის დამზადებას, ვიტყვით: ჩვენ რომ პირველი წერილი დავსწერეთ 20—21 ივნისს და გაგგზავნეთ რედაქციაში, იმ დროს დამზადებული ქვა ბევრით არ აღემატებოდა ერთ მილიონ ფუთს. დღეს, ე. ი. ექვსი თვის განმავლობაში (მარტიდგან) ამოდენა საზოგადოებას დაუმზადებია მხოლოდ ორი მილიონი ფუთი ქვა. მერე ეს უკვირს კიტა აბაშიძეს?! მერე ეს საქმეა?! ესაა მასხარობა და ჩხირ-კედელობა და არა საქმე. მანგან-სინდიკატთან პირობის ძალით ჩვენს კონტრაგენტს უნდა გაეყიდა წლიურად არა ნაკლებ ოცი მილიონი ფუთისა; მაშასადამე, თუ არა მეტი, ამდენივე ფუთი ქვა უნდა დაემზადებია საზოგადოებას, ანუ ექვს თვეში ათი მილიონი ფუთი. დღეს-კი დაუმზადებიათ მხოლოდ ერთი მეხუთედი; და ეს ამ ექვსს საუკეთესო თვეში! რაღას გააკეთებენ და ჩამოზიდვენ ზამთარში? აი, ამას ბრძანებს კიტა აბაშიძე, რომ დიდ საქმეს ვაკეთებთო! სწორეთ სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს. ამავე დროს ექსპორტიორები ყიდულობენ და გააქვთ 10—12 მილიონი ფუთი და, თითქო საზოგადოება არ არსებობდეს, ისე მოქმედებენ ძველებურად. აი ამას ჰქვია საქმე.

მესამე: საზოგადოებამ ქვის ფასი 8—9 კაპიკამდე ასწიაო და დაურიგა მრეწველთ 350,000 მანეთიო. ნუ გამოვეკიდებით აქ ამ ციფრს, რომელიც გაზვიადებულად მიგვაჩნია. ერთი გვიბრძანოს ბ. აბაშიძემ ვის აძლევდნენ 8—9 კაპეიკს ფუთში? 8 კაპეიკს აძლევდნენ მხოლოდ 2—3 კაცს ისიც ნასაკირევის და ვირი-კენჭას ან უუპირველეს მადნების გაწმენდილ ქვაში; 9 კაპიკი არავისთვის არ მიუციათ. დანარჩენებისათვის კი საყოველთაო ფასი (მაზანდა) ჭიათურაში იყო 7 და 7½ კაპიკი. და ჭიქოურაში 6 და 6½ კაპ. აი რა ფასებს აძლევდნენ მრეწველთ! ჭეშმარიტად სატირალია ფაქტების ასე აშკარად დამახინჯება. ვინ უნდა დააჯეროს ბ-ნმა აბაშიძემ ამგვარი ლათაიებით?! ახლა რამდენი ქვა დაიწუნეს („დაბრაკეს“) და დაიტოვეს! დღეს ამ ფასებსაც აღარ იძლევიან. ექვს აგვისტოდან შეაჩერეს ერთიანად ქვის მიღება და უარესს მდგომარეობაში ჩაყარეს საზოგადოების წევრნი. ამით ისარგებლეს ექსპორტიორებმა და დაუწიეს ფასები და მოითხოვეს უკეთესი ქვა.*)

ამ ექვს თვეში 350,000 მანეთი დავურიგეთ ხალხსაო. დიდი რამე მომხდარა. ერთი ვკითხოთ, თუ რაა ეს ფული? ეს გახლავთ ვალი და მხოლოდ ვალი, რომლისთვისაც იხდიან სარგებელს და რომელსაც სიმწრით ამოწვდიან ერთ დროს და წაამწარებენ მრეწველთ, რადგან მანგან სინდიკატს უკავია ხელში თითქმის ერთი მილიონი მანეთის ვექსილები და მრეწველთა მადნებიც საზოგადოების სახელზედაა გადაცემული. ამ ფულიდან რომ გამოვქვითოთ 20—30,000 მ. სოიუზისათვის და 40,000 მ. მადნების შესაძენათ, დარჩება 280,000 მ. აი ეს ფული დაურიგდათ ექვსს თვეში 188 მრეწველთ, მათ მუშებს, ჩალვადრებს, მწონავთ და ისე მოსამსახურეებს, აგრეთვე გარეშე პირთ, რომელნიც ქვას ეზიდებოდნენ ამათ ბაქნებზედ. აი, ამას ჰქვია დიდი საქმის გაკეთება...

მეოთხე: ქვა იყიდება 8,75—9 პენსათო, ან როდის იყო ქვის კარგად გაყიდვის მომენტებიო და სხვ. ერთი ჰკითხეთ ბ-ნ აბაშიძეს, თუ რომელ ბირჟიდგან მიიღო ეგ ცნობა! მოვახსენებთ პატივცემულ მკითხველს, რომ შავი ქვის ფასების ოფიციალური კოტიროვკა (განცხადება ბირჟაზედ, ისე როგორც რკინა-ფოლადის, პურის, აბრეშუმის და სხ. ჯერ არსად არ არსებობს. დღემდე ყველა ფირმას და ქარხანას თავისი საიდუმლო ფასი აქვს. დღემდე ყველა ექსპორტიორი საიდუმლოდ ინახავს თავის გაყიდულობის ფასს. მიუხედავად ამისა გამოცდილ კომერსანტს დაახლოვებით შეუძლია გაიგოს ქვის ფასი ევროპის ბაზარზედ. როგორც ამბობენ, ამ ექვსი თვის განმავლობაში ეს ფასი ქანაობდა 9—9½ პენსამდე ერთეულ მეტალში ტონზედ. რომ მივიღოთ სახეში მეტალის 50% და ზღვის ფრახტი 12 შილინგი, მოუვა ფუთ ქვას ფოთში 18½—20 კაპეიკი. აქედან რომ გამოვქვითოთ რკინის-გზის ფრახტი და სხვა ხარჯები სულ 11 კ. და კიდევ 1½ მანკით და სინესტით, დარჩება პატრონს ფუთზედ წმინდა წონით 6—7½ კაპ. და არა 5—6 კაპეიკი, როგორც ბრძანებს ბ-ნი კიტა აბაშიძე, რომელსაც ცოტა არ იყოს ემლება ანგარიში. ახლა ამას უნდა მივუმატოთ ჩვენ კიდევ სტიკაჟი, დისპორჩმანი და სხვა წვრილმანი შემოსავალი გემის დატვირთვის დროს, სულ 1 კაპეიკამდე. მაშინ იქნება 7—8½ კაპ. ფუთზედ წმინდა წონით. ეს ფასები რომ „სკიტაზედ“ გადავიტანოთ, მოუვა ჭიათურაში 8,4—10 კაპეიკი. ახლა კიდევ თუ მივიღებთ სახეში, რომ გაყიდული ქვა აღემატება 50% და გამოდის 51—52%; ეგრეთვე თუ ზღვის ფრახტს 12 შილინგის მაგიერ მივიღებთ 9—10 შილინგს, როგორც იყო ამ სამი თვის წინეთ (ახლა ფრახტმა საშინლად აიწია, რადგან ზაფხულია, გემები დაბნეულია ჩრდილო-ზღვა-ოკიანეებში და მასთან პურს ეზიდებიან), მაშინ ფუთ ქვას მოუვა ფოთში 21—23 კაპეიკი, და ჭიათურაში 8½—11 კაპ. წმინდა წონით. ამას უნდა მივუმატოთ კიდევ ის გასხოხიერად თუ უგასხოსოთ, მაგრამ უფასოდ-კი გადატანილი ფუთები შორაპნამდე, ან ფოთამდე, რაც კაი ხანია დამყარდა ჭიათურის პრაქტიკაში და ადვილად ცნობთ, თუ რამდენად სამხიმგებლოა ქვის გაყიდვა 9 პენსათაც-კი. ეს იცის ყოველმა შეგნებულმა მრეწველმა, ეს იცის კარგად ყოველმა მყიდველმა და ექსპორტიორმა, ეს არ ცოდნებია მხოლოდ „დიდებულ პუბლიცისტს“ ბ-ნ კ. აბაშიძეს. ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ უნივერსიტეტის ცოდნით აღჭურვილი კაცი თითქმის ორი წელიწადი ტრიალებდეს საწარმოვო ცენტრში, ე. ი. ჭიათურაში, იყოს ბანკის გამგეთ და ქვის ფასების ვითარება და ანგარიში არ იცოდეს, მაგრამ ნუ გავამტყუნებთ, მკითხველო, ბინძური ჭიათურა თ. აბაშიძის ბინას და მესწავლის ინტერესს არ წარმოადგენს. ამას ეჭირვება შეწუხება, შრომა და გასვრა მაგ მტვერში, ეს-კი თავად აბაშიძის ნაზ აგებულებას არ ეხმება. ეს ექს-ფეოდალი ან ბრძანდება და ისვენებს თავისს რეზიდენციაში (ს. კაცხში), ან ქუთაისში მასლაათობს, ან ტფილისში აცხობს თავის კრიტიკის და პოლემიკის მეძღვრებს. ჭიათურა და შავი-ქვა რა მაგის საქმეა?! მაგას მიართვით მხოლოდ ჯამაგირები, ბევრი ფულები და სხვას ნურას მოჰკითხავთ. რა ქნას, მაგირმა უნდა წაბაძოს თავის ოსტატს, „დიდებულ მოღვაწეს“.

(შემდეგი იქნება)

ს. ქვარიანი.

---

*) ეს პასუხი უკვე დაწერილი იყო, როცა შევიტყე, რომ ამ ორშაბათს, ე. ი. 26 აგვისტოს ისევ დაუწყიათ ქვის მიღება, ხოლო დაუკლიათ ფუთზედ თითო კაპიკი, ე. ი. ჭიათურაში იძლევიან 6—6½ კაპ. და ჭიქოურაში 5—5½ კაპ. ფუთზედ, რამაც გამოიწვია მრეწველთა შორის დიდი უსიამოვნება. ამავე დროს იტვირთება ფოთში „სოიუზის“ გემი და ამ ფირმას აქვს გაცხარებული მიღება ქვისა. ვგონებ არაა ძნელი გამოსაცნობი, თუ რად დაუკლეს ფასები!..

ავტორი.

წერილი
რედაქციის მიმართ

„ივერიის“ № 186-ში დაბეჭდილი იყო წერილი შილდიდგან „მიპატიჟებულის“ ფსევდონიმით. ეს მიპატიჟებული, ეხება-რა ხსენებულ სოფელში ჩემ მიერ გამართულ წარმოდგენას, სრულს სიცრუეს ქადაგებს.

ავტორი ბრძანებს: „აფიშებში არ იყო ნაჩვენები, ვინ თამაშობდა ანუ ვის სასარგებლოდ იყო გამართული წარმოდგენა, მხოლოდ აფიშის ბოლოში მიწერილი იყო: გამგე წარმოდგენისა სოლ. გოშაძე“-ო.

ამის პასუხად მოვახსენებთ, რომ იმ ხანებში, როდესაც მე წარმოდგენას ვაპირებდი, თელავის სტამბაში გახურებული მუშაობა იყო, ასე რომ ახალ საბეჭდს აღარ იღებდნენ. (ამაზედ სტამბის პატრონი დამემოწმება, თუ საჭიროება მოითხოვს). ბოლოს, ბევრი ცდის შემდეგ, დამიბეჭდეს აფიშები, ააწყეს ღამე, მუშაობის შეწყვეტის დადებული ვადის შემდეგ, იმ პირობით, რომ დროს უქონლობის გამო აფიშა შესამჩნევად შემემოკლებინა. მეც გამოვტოვე მოქმედ-პირთა გვარები და რავდენიმე სიტყვა. ასე მოხდა აფიშის დაბეჭვდა. სიტყვები: გამგე სოლ. გოშაძე დავაბეჭვდინე და ვაბეჭდვინებ იმისთვის, რომ კანონი მოითხოვს მის აუცილებლობას, (თუ ეს „მიპატიჟებულმა“ არ იცოდა, ეხლა მაინც ისწავლოს).

შემდეგ დარწმუნებით ბრძანებს: „წარმოდგენა მოთამაშეების კუჭის სასარგებლოდ იყო“-ო. აქაც დიდად სცდება ავტორი. მე ვმართავ სოფლებში იაფფასიან სახალხო წარმოდგენებს დაბალი წრისათვის, იმ მიზნით, რომ საშუალება მივცე ნივთიერად დაქვეითებულ ხალხს წარმოდგენაზედ დასწრებისა (როგორც სჩანს, მიპატიჟებულს თვალ-ხუჭულა გაუშინჯავს აფიშა, თვარა იმ წვრილ ასოებთან, რომლითაც გამგეს გვარი ეწერა, სხვილი ასოებით დაბეჭდილ სიტყვებს: „სახალხო წარმოდგენა“-საც *) გაარჩევდა. დიახ, ყოველ სოფელში, სადაც-კი მე წარმოდგენას ვმართავ, ვყიდი იმდენ ბილეთებს, რამდენის შემოსავალიც წარმოდგენის აუცილებელ ხარჯს დაჰფარავს; დანარჩენ მაყურებლებს უფასოდ ვუშვებ. ფასების სიმცირის გამო, ხშირად შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავს და ჩემის საკუთარის ფულით მიხდება გასასტუმრებელი. თუ ეს არა სჯერა მიპატიჟებულს, მობრძანდეს და თავის თვალით ნახოს ჩემ-მიერ სოფლებში გამართულ წარმოდგენების ანგარიში.

სოფ. შილდაში გამართული წარმოდგენის შემოსავალი ოთხი მანეთით აღემატა ხარჯს, რაიც შილდისავე სამკითხველოს სასარგებლოდ გადავეცით ბ-ნ ს. ა—ვს (თუ საჭიროება მოითხოვს, ამის დასამტკიცებელ საბუთსაც წარვუდგენ). ეხლა ვკითხავთ წერილის ავტორს: „საკუჭე“ (როგორც თვითონ ბრძანებს) რაღა უნდა დარჩენილიყო?

„მიპატიჟებული“ მიკიჟინებს, ვითომც მე არტისტის სახელით მემოქმედნოს. ესეც ჭეშმარიტებას მოკლებულია. საიდგან შესთხზა ცრუ წერილის ავტორმა ასეთი ჭორი? ნუ-თუ ქართული კითხვაც არ იცის? თუ ეს ასე არ არის, კეთილ ინებოს და გვიბძანოს თავის ნარნარის ხმით, რომელ აფიშაში ვეწერე არტისტად? (იქნება მართლა არტისტიცა ვარ და მე არ ვიცი?) თუ თვითონ შესცდა და არტისტი ვეგონე, ბრალს სხვას რათა სდებს.

დასასრულ, ვკითხავ, რათა და რისთვის გამოაცხო ასეთი თვის-და დამამცირებელი ჭორი „მიპატიჟებულმა“, როდესაც სინამდვილე კარგად უნდა სცოდნოდა, როგორც შინაურს და „მიპატიჟებულს“. თუ საქმის ვითარება სწორედ არ იცოდა, რატომ არ გამოიკითხა, ან სხვას მაინც რად არ მიჰმართა თხოვნით აეხსნათ და ჩაეგონებინათ მისთვის შეუგნებელი სინამდვილე და წარმოდგენების წესები. რამ აიძულა ეს ვაჟბატონი ასე ოღრო-ჩოღრო გზაზედ სალაშქროდ? ნუ-თუ უბრალო ჭორის ჟინმა აიტაცა? ჩემის მხრივ ერთს რჩევას მივცემ „მიპატიჟებულს“, თუ შეისმენს: თავი დაანებოს სიცრუის ცხობას და გულის გასაყოლებლად ზღაპრები უამბოს ბავშვებს, (შეეძლევა-თუ?) ვინაიდგან ეს უფრო შეშვენის მას.

ვათავებ ამ წერილს და კარგათა ვგრძნობ, რა სარჩულიც უძევს „მიპატიჟებულის“ მომზადებულ ყალიბში ჩამოსხმულ ყალბ წერილს და ისიც კარგათ ვიცი, —ძაღლის თავი სადაც მარხია.

სოლ. გოშაძე.

---

*) გოშაძისაგან მივიღეთ აღნიშნულ წარმოდგენის აფიშა, რომელსაც სათაურათ აწერია: „კვირას, 25 მარიამობისთვეს, გაიმართება სახალხო წარმოდგენა“.

რედ.

„ივერიის“ ფოსტა:

ქუთაისი. ბ. ს. ა—ნის: თქვენი წერილი „ქართულს ენაზედ წიგნების გამოცემის საჭიროება და უმაღლესად ნაბოძები ფულის მოხმარება“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 სეკდემბერი.

სარატოვი. სერდობსკში დაიწყო სერობო სამეურნეო და საშინა-მრეწველო გამოფენა. გამოფენაზე გაიმართება საგუბერნიო საგრონომო ბჭობაცა.

კიევი. ამ დღეებში დასრულდა საყურადღებო არქეოლოგიური გამოკვლევა გენერლის ბრანდენბურგისა და სხვათა მდინარე ფსიოლას მთიანს ნაპირზედ, პოლტავის გუბერნიაში. ამ ადგილას არის რამდენიმე ათასი ნასახლარი, აგრეთვე დიდი ნაქალაქარები. მოსთხარეს ათი დიდი თომარი. აღმოჩნდა, რომ მაშინდელ მკვიდრთ ჰქონიათ წესი მიცვალებულთა დაწვისა დამარხვის მაგიერ.

ორიოლი. დღეს დილით სადგურ ჩერნზედ სამხრეთისკენ გაიარა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზ'ის ძემ.

მადრიდი. გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ხმები ფრანკ-ესპანიის კავშირის შესახებ ტყუილია.

სვინემიუნდე. „Surnemunder Zeitung“-ის სიტყვით, იმპერატორმა გაუგზავნა რუსის სამხედრო გემის „ბოგატირის“ უფროსს სამადლობელი დეპეშა მის მოსამსახურეთა მიერ შემწეობის აღმოჩენისათვის შულცის გემების ვერფზედ ცეცხლის გაჩენის დროს.

მოსკოვი. კრიმინალისტების წევრთა კრება დღეს სინჯავს მოსკოვის თვალსაჩინო ადგილებს. იურისტების ამხანაგობამ პატივსაცემად სადილი გაუმართა კრიმინალისტებს.

ლოძი. აქაურ პოლიციის მხნეობით კიდევ აღმოაჩინეს დედკაცი, რომელიც აღსაზრდელად აყვანილს ძუძუ-მწოვარა ყმაწვილებს ამშევდა და შიმშილით ჰხოცავდა.

პეტერბურგი. „კანონთა დებულებაში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება მინისტრთა კომიტეტისა შესახებ წესის შეცვლისა გასარჩევ საქმეთა, რომელიც შემოდის მინისტრთა კომიტეტის საბჭოში და შესახებ იმისა, რომ გენერალ-გუბერნატორებს და გუბერნატორებს ეძლევათ უფლება ლატარიების ნებართვისა.

აღმოსავლეთ-ჩინეთის გზაზე პირდაპირი მოძრაობა დაიწყება 1903 წლის დამდეგს.

10 სეკდემბერს, პეტერბურგიდგან წაბრძანდნენ მოსკოვს დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული.

10 სეკდემბერს, ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა ადღუმი პეტერგოფის სრუტეში ოთხის ნაღმიანის გემისა, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთს მიდიან.

11 სეკდემბერი.

პეტერბურგი. სანამ სტატს-სეკრეტარი ვიტე დაბრუნდებოდეს, ფინანსთა სამინისტროს მართვა-გამგეობა მიენდო მისს ამხანაგს ტაინი სოვეტნიკს რომანოვს.

ჰააგა. მინისტრ-პრეზიდენტმა გადაჭრით განაცხადა, ყოველს სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომც ჰოლანდიის დაკავშირება განეზრახოსო.

ბერლინი. პორტუგალიის მისსია მტკიცედ უარ ჰყოფს დელაგოასა ან აფრიკის სხვა რომელისამე ბოლაზიის ინგლისისათვის დათმობასა. არასოდეს არ დაჰპირებულდებოდა ამას პორტუგალია.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისს ისეთი არა ჩაუდენია-რა, რომ ვისაც დაეყარა ხმები ინგლისის მიერ კლანტინის დაჭერის შესახებ. თუ ადგილობრივმა ხონთქარმა სიკხეში იმსახურა, ეს მან ჩაიდინა, როგორც კერძო პირმა.

პეკინი. პეჩილის მეფის მოადგილე იუნშიკაი და ჩენგის გუბერნატორი ვინგი მთავრობის წარმომადგენლებად არიან დანიშნულნი შანჰა-იგუან-ნიჩუანის რკინის გზის ჩაბარების საქმეში.

ხარკოვი. სეკტემბრის 16-ს ვალკაში დანიშნულია გასარჩევად 16 საქმე იმ უწესოებათა გამო, რომელიც გაზაფხულზედ ჩაიდინეს გლეხებმა ვოლკოვის მაზრაში; აღნიშნული უწესოებანი მემამულეთა ქონების აოხრებით გამოიხატა; პირველ საქმეებში თავმჯდომარედ იქნებიან ხარკოვის პალატისა და სისხლის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარენი. ამ საქმეების გამო მოწმედ გამოწვეულია 300 კაცი.

ინდიანოპოლისი. რუზველტის მდივნის ცნობით, პიტსფილდში მომხდარ უედუროდროს მარცხენა ფეხის წვივ ქვევით ძლიერად დაშავებისა გამო პრეზიდენტს გაჩენია მცირე იარა. მკურნალთა მართალია განაცხადეს, იარა საშიში არაო, მაგრამ სიფრთხილის გულისათვის გადასწყვიტეს, დაუყონებლივ ოპერაცია გაუკეთონ მას ინდიანოპოლისში. პრეზიდენტი მოგზაურობას აღარ განაგრძობს და ვაშინგტონს დაბრუნდება.

პეტერბურგი. 10 სეკტემბერს სახელმწიფო ბანკში ბულგარიის 5%-ან ოქროს სესხეე ხელმოწერით შემოვიდა 1,683,750 მან.

პეტერბურგის ბირჟა, 10 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	45,97½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,57½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97[illegible] გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82⅜ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅜
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	350 წვ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	165 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქვემოდ დაბეჭდილი ხმოსნების კანდიდატების სია და აგრეთვე რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა, შედგენილია თანახმად იმ სიებისა, რომელნიც მიმდინარე 6 სექტემბრამდის წარმოედგინა ქალაქის გამგეობას სამთავე ნაწილის ამომრჩეველთაგან; ვინც კანდიდატად დასახელებულია, კეთილ-ინებონ და წერილობით გამოუცხადონ ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ თანახმანი არიან კენჭი იყარონ ხმოსნობაზე და ამასთანავე უნდა აღნიშნონ რომელ საარჩევნო ნაწილში ჰსურთ იყარონ კენჭი; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ დაედგმება საარჩევნო ყუთები საარჩევნო კრებების დროს.

კანდიდატები ხმოსნობაზე

ა) პირველს საარჩევნო ნაწილში:

	რამდენი ხმა მიიღო:
1. ავთანდილოვი მიხეილ ზაქარიას ძე.	42
2. ალიხანოვი კონსტანტინე მიხეილის ძე	80
3. ალიხანოვი ივანე სერგეის ძე.	75
4. ამირეჯიბი თავ. როსებ თადეოზის ძე	35
5. ანდრონიკაშვილი თავ. ნიკოლოზ დავითის ძე	38
6. ბარათაშვილი თავ. იასე ალექსანდრეს ძე.	75
7. ბარცოვი ვასილი მიხეილის ძე	38
8. ბებუთოვი თავ. ივანე მიხეილის ძე	38
9. ბოგომოლოვი ფადეი ნიკოლოოზ. ძე	36
10. ვასილიევი პეტრე სიმონის ძე.	40
11. ვესელოვზოროვი მიხეილ ნიკოლოზის ძე	78
12. გაბაშვილი ვასილი დავითის ძე.	46
13. გაბაშვილი გრიგოლ დიმიტრის ძე.	66
14. გეინე ფერდინანდი კარლის ძე.	40
15. ჯაბადარი ალექსანდრე გიორგის ძე	38
16. ჯამბაკურიან-ორბელიანი თავ. ივანე მაკარის ძე.	36
17. დიასამიძე თავ. გრიგოლ ნიკოლოზის ძე	76
18. დოლუხანოვი ისაი მარკოზის ძე.	76
19. ზდანევიჩი მიხეილ ანდრიას ძე	37
20. კამაევი ნიკოლოზ ილიას ძე	45
31. კირაკოსოვი გრიგოლ იაგორის ძე.	43
22. კოჟინი პეტრე ივანეს ძე.	76
23. კაზლოვი ალექსი ლვოვის ძე	37
24. ქუჩარიანცი გრიგოლ არტემის ძე	42
25. ლისიციანი სტეფანე დანიელის ძე	77
26. მალინინი იაკობ ივანეს ძე.	42
27. მესხიშვილი კონსტანტინე იოსების ძე	40
28. მიქელაძე თავ. ვლადიმირ სიმონის ძე.	77
29. ოპოჩინინი პეტრე ალექსის ძე	7
30. ფირალოვი არტემ სტეფანეს ძე.	30
31. ფრიდონოვი ალექსანდრე თომას ძე.	77
32. რეიტერი ივანე ნიკოლოზის ძე.	7
33. სვეჩნიკოვი მიხეილ ივანეს ძე	37
34. სულხანოვი სტეფანე ქრისტეფორეს ძე.	8
35. თამამშევი ნიკოლოზ ივანეს ძე.	38
36. ტარანოვსკი პეტრე გრიგოლის ძე.	38
37. ტიგრანოვი იოსებ თადეოზის ძე.	79

38. ტიხენკო ივანე ანდრიას ძე.	39
39. თულაშვილი ვახტანგ დიმიტრის ძე.	36
40. თუმანოვი თავ. გიორგი მიხეილის ძე.	81
41. თუმანოვი თავ. დავით ნიკოლოზის ძე.	77
42. ტურკოვსკი ალექსანდრე გრიგოლის ძე.	39
43. უთნელიშვილი ივანე დავითის ძე.	76
44. ჩოლოყაშვილი თავ. ალექსანდრე ზაალის ძე.	77
45. ჩერქეზიშვილი თავ. ვასილი ნიკოლოზის ძე.	79
46. ჩმიშკიანი მაკარ იაგორის ძე	6
47. შადინოვი ივანე ალექსის ძე	57
48. 'შახ-პარონიანცი მიხეილ სერგეის ძე.	80
49. ენფიანჯიანცი ტიგრან ამბარცუმის ძე	36

ბ) მეორე საარჩევნო ნაწილში:

1. ალიხანოვი ივანე მიხეილის ძე	66
2. ამირხანოვი იოსებ იაკობის ძე	71
3. ანანოვი სტეფანე იოსების ძე	68
4. არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ნიკოლოზ ვასილის ძე	71
5. ახუნდოვი რახიმ-ბეკი	70
6. ბაღდასაროვ-ბუღდანოვი არშაკ სტეფანეს ძე	68
7. ბებუთოვი თავ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე	71
8. ბებუთოვი თავ. არსენი ივანეს ძე	67
9. ბექზადოვი არტემი სერგეის ძე	65
10. ბუღდანოვი ისაკ სოლომონის ძე	43
11. ვართანოვი არტემი ივანეს ძე	56
12. ვარშამოვი ალექსანდრე აბრამის ძე	49
13. ღამბაროვი პავლე სტეფანეს ძე	69
14. გურგენბეკოვი ივანე ოსეპას ძე	15
15. დოლუხანოვი პავლე მარკოზის ძე	67
16. ევანგულოვი ლეონ გიორგის ძე	68
17. იოანნესიანი რუბენ აბგარის ძე	68
18. კანდურალოვი ვასილი გრიგოლის ძე	55
19. ქანანოვი მიხეილ ზურაბის ძე	25
20. მარკოზოვი იოსებ ნიკოლოზის ძე	59
21. მელიქ-ბეგლიაროვი იოსებ ალექსანდრეს ძე	70
22. მილოვი არკადი ნაზარეს ძე	60
23. მირზოევი სერგეი ზურაბის ძე	58
24. ფსაროვი ივანე იაგორის ძე	67
25. სტეფანოვი გასპარ არტემის ძე.	65
26. სულიევი მიხეილ ანტონის ძე	65
27. სულხანოვი იოსებ ალექსანდრეს ძე	66
28. თაიროვი ივანე ალექსანდრეს ძე	66
29. თამამშევი გაბრიელ ზაქარიას ძე	67
30. ენფიანჯიანცი ტიგრან ამბარცუმის ძე	71

გ) მესამე საარჩევნო ნაწილში:

1. აბრამიანცი ნიკოლოზ ვოსკანის ძე	16
2. ალასაროვი ბაღდან გრიგოლის ძე	39
3. ალიბეგოვი პეტრე ივანეს ძე	18
4. ალფონსკი ნიკოლოზ არკადის ძე	21
5. ანდრეევი ალექსანდრე პეტრეს ძე	43
6. არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ალექსანდრე მიხეილის ძე	77
7. არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ნიკოლოზ იაგორის ძე	40
8. ბაბოვი არშაკ სერგეის ძე	88
9. ბაბოვი იაგორ სერგეის ძე	19
10. ბერეჟანოვი ალექსანდრე პავლეს ძე	31
11. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე	19
12. ბილფელდი ლეოპოლდ პეტრეს ძე	41
13. ბლეტკინი მიხაილ ეგნატეს ძე	63
14. ბოგდანოვი თეოდორ ისააკის ძე	21
15. ბოგოიავლენსკი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე	32
16. ბოლოტინი ნიკიტა მაკარის ძე	46
17. ბუშკინი ვასილი ივანეს ძე	5
18. ვარლამოვი ვლადიმირ გერასიმეს ძე	19
19. ვაწაძე სპირიდონ იოსების ძე	73
20. ვექილოვი იბრაგიმ-ბეკ	54
21. ვეტცელი ჰენრიხ გასპარის ძე	30
22. ვორონინი ნიკიტა ისაიას ძე	5
23. გადომსკი ანტონ ავგუსტოს ძე	21
24. გამყრელიძე ივანე	76
25. გრიქუროვი ნიკოლოზ არტემის ძე	74
26. ღულაძე ანდრია სოლომონის ძე	61
27. გულისაშვილი იერემია დიმიტრის ძე	51
28. დავიდოვი სერგეი ვასილის ძე	73
29. დოლუხანოვი მიხეილ რომანოზის ძე	19
30. ევანგულოვი ალექსანდრე ბაღდანის ძე	72
31. ერმოლოვი ივანე აბრამის ძე	20
32. ირიცპუხოვი აბრამ გაბრიელის ძე	20
33. კაზაკოვი ივანე ნიკიფორეს ძე	65
34. კაზაკოვი ალექსანდრე ივანეს ძე	6
35. ქალანთაროვი ლეონ ქრისტეფორეს ძე	19
36. ქალანთაროვი ნიკიტა ქრისტეფორეს ძე	38
37. კაპრანოვი ივანე ხარლამპის ძე	13
38. ყარა-მურზა ნიკიტა მაკარის ძე	66
39. ქართველიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე	14
40. ყიფიანი მიხეილ ქაიხოსროს ძე	39
41. ყიფიანი პეტრე იოსების ძე	65
42. ყორღანოვი დავით ივანეს ძე	10
43. კიანდუროვი გიორგი თეოდორეს ძე	17
44. ლინჩევსკი ანდრია მარტინის ძე	13
45. ლუნკევიჩი მიხეილ ვიქტორის ძე	36
46. მაიერი ივანე ივანეს ძე	71
47. მამულოვი ზაქარია დავითის ძე	32
48. მარკინი ტიმოფე ივანეს ძე	13
49. მღებროვი ლევან იაკობის ძე	11
50. მელიქ-კარაკოზოვი გიორგი პავლეს ძე	61
51. მირიანაშვილი ალექსი ივანეს ძე	40
52. ნატროშვილი ანტონ ივანეს ძე	41
53. ოსტროგორსკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე	48
54. ფრიდონოვი პეტრე ნიკოლოზის ძე	27
55. პატაპოვი მიხეილ ივანეს ძე.	5
56. რემეზოვი ვასილ სტეფანეს ძე	20
57. რუდენკო ტიხონ ივანეს ძე.	19
58. სიმონოვიჩი სპირიდონ იაგორის ძე.	20
59. სოსინი მათე ლეონტის ძე	20
60. ტატიშვილი იპოლიტე ზურაბის ძე.	39
61. ტიგრანოვი ლაზარე თეოდორის ძე.	60
62. ტხორჟევსკი ივანე ფელიქსის ძე	77
63. ფეფელოვი ტიტ ალექსის ძე	47
64. ფლორინსკი ალექსანდრე ივანეს ძე	73
65. ხტისოვი ალექსანდრე ივანეს ძე	69
66. ხრამელაშვილი ეგნატე მარკოზის ძე	40
67. ხუდადოვი ნიკოლოზ ალექსის ძე.	60
68. ჭრელაშვილი სტეფანე თეოდორეს ძე	49
69. შარიფოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე	61
70. შახბუდაგოვი გრიგოლ გრიგოლის ძე	45
71. ენფენჯიანცი არტაშეს ამბარცუმას ძე	64
72. ენფენჯიანცი ტიგრან ამბარცუმას ძე	6
73. ესაძე ბორის სპირიდონის ძე	41

(1—6.—1)

განცხადება

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა ამით უცხადებს საყოველთაოდ სახლის პატრონთ, რომ, რადგან ქუჩაზე რაც ხეებია დარგული, ყველა ქალაქის საკუთრებას შეადგენს, ამიტომ არავის ნება არა აქვს მათი მოჭრისა ან გადაჩეხისა, ქალაქის მმართველობის ნება-დაურთველად, წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი კანონის ძალით დაისჯებიან.

(3—6.—2)

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—25)

სპეციალურად ბუჰგალტერიის კურს-დამთავრებული

ქ. პეტერბურგში ეძებს შესაფერ ადგილს. პირობა მსურვ. ვთხოვ წერილით გვაცნობონ. ადრესი: ტფილისი, ანტონოვის ქუჩა, № 23 ბუჰგალტერს. (3—115—3)

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლეჟავისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—23)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Парфюмерія
„Локсотисъ“

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საყენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იერის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწივნენ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველს შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ალვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ.

Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემ ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
პაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში
(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25%-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა საცვანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი

(10—6.—10) ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა ბ დერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(24—361—24)

საბუხგალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცენოლ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუკოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოზენი**, ი. ფ. **გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში**.

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა**.

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლი ან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი**.

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—15)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.